

Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

სამართალდარღვევის საქმეების
განხილვისას აღამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს სტანდარტების
ბაზოყენება



Supported by:



Federal Ministry
of Justice and
Consumer Protection

on the basis of a decision
by the German Bundestag



სამართლმცოდნეობის სახელმძღვანელო
განხილვისას აღნიშნული უფლებათა
ეპოქური სასამართლოს სტანდარტების
გამოყენება

(პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისათვის)

სარჩევი

შესავალი	6
1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები	9
2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების კავშირი შიდაპოლიტიკისა და გამონაცხის თავისუფლების უფლებასთან	13
3. რა პრობლემები გამოჰყვამათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების კონტექსტში ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით მიღებულმა გადაწყვეტილებებმა	17
3.1. ბრძანების ან მოწოდების კანონიერების გადამოწმება	18
3.2. კოლიციის ჩვენებებისათვის მომეტებული მნიშვნელობის მინიჭება, რაც იწვევს მტკიცების ტვირთის შეზღუდვას	19
3.3. კოლიციის მოთხოვნის „კანონიერების“ შეფასების სტანდარტი	32
3.4. სადავო ქვეყნის და მისი კონტექსტის სათანადოდ შეუფასებლობა	37
3.5. დაკისრებული პასუხისმგებლობის პროპორციულობა	42
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით	49
4.1. საკროცესო ხარჯები	49
4.2. ჩხრეკა	49
4.3. სახის ამოცნობა	50

შესავალი

ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს საერთო სასამართლოების იმ მოსამართლეებისათვის, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე ცალკეული კატეგორიის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ. სახელმძღვანელოს მიზანია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილი სტანდარტების მხედველობაში მიღებით ხელი შეუწყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური – 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლების პრაქტიკაში სწორ გამოყენებას.

1984 წლიდან დღემდე საქართველოში მოქმედებას განაგრძობს საბჭოთა პერიოდში მიღებული და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან შეუსაბამო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. კოდექსში მოცემული პრინციპები არსებითად შეუსაბამოა საქართველოს კონსტიტუციასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. შესაბამისად, მასში შეტანილი ფრაგმენტული ცვლილებები კოდექსის არსებით გაუმჯობესებას ვერ უზრუნველყოფს. აუცილებელია, გატარდეს მისი სისტემური რეფორმა. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში 500-ზე მეტი ცვლილება შევიდა მასში, ცვლილებები არ შეხებია იმ ფუნდამენტურ საკითხებს, რომლებიც კოდექსის ინსტრუმენტალიზების მთავარ საფუძვლებს ქმნის. კოდექსი ვერ აკმაყოფილებს სამართლიანი პროცესის მოთხოვნებს, ცალკეული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ითვალისწინებს მძიმე სახდელებს, მათ შორის, ადმინისტრაციულ პატიმრობას, თუმცა, აწესებს გაცილებით ნაკლებ პროცედურულ გარანტიებს, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მიმართ არსებობს. გარდა ამისა, არ ითვალისწინებს უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნებს, მოსამართლეს არ ავალდებულებს, იხელმძღვანელოს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, საქმის განხილვის და სანქციის გამოყენების შემჭიდროებული პროცედურები კი ვერ უზრუნველყოფს ეფექტიან წარმომადგენლობას. ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის არსებული ფორმით მოქმედება ყოველდღიურად იწვევს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას.¹

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან შეუსაბამობა ხაზგასმულია საქართველოსთან მიმართებით ევროპული კომისიის მიერ მომზადებულ 2023 და 2024 წლების ანგარიშებშიც. 2023 წელს ევროპულმა კომისიამ საქართველოსთან მიმართებით მე-9 ნაბიჯის კონტექსტში დაადგინა პირობები, რომლებიც სახელმწიფომ უნდა დააკმაყოფილოს იმისთვის, რომ ევროკავშირის წევრი გახდეს. მე-9 ნაბიჯის შესაბამისად, საქართველომ უნდა გააუმჯობესოს ადამიანის უფლებათა დაცვა, მათ შორის, შეკრებისა და გამოსატყვის თავისუფლების უზრუნველყოფის გზით. ამ ნაბიჯის შესასრულებლად, 2023 წლის გაფართოების პაკეტის ფარგლებში გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ევროკავშირის მოლოდინია, რომ საქართველო დაინტერესებული პირების ფართო ჩართულობით დაიწყებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სისტემურ ცვლილებათზე მუშაობას. კოდექსის ცვლილების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები. მათ შორისაა: ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა უფლებების არასათანადო დაცვის გარანტიების გაძლიერება, მტკიცების ტვირთის სტანდარტის გაუმჯობესება ისე, რომ დაკავებულებს არ უწევდეთ მათი უდანაშაულობის მტკიცება, დაკავების კანონიერების შემოწმების ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის არსებობა და სხვა.

1 საიას პუბლიკაცია „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმა“, ხელმისაწვდომია ბმულზე – https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90.pdf, ნანახია: 10.02.2025.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმა წარმოადგენს უალტერნატივო გზას, კოდექსის რეფორმამდე, მოსამართლეებს შეუძლიათ ყოველდღიურ პრაქტიკაში სამართალდარღვევის საქმის განხილვისას გააუმჯობესონ ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტები. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ საერთო სასამართლოების მოსამართლეები სამართალდარღვევის საქმეების განხილვისას იხელმძღვანელებენ საქართველოს კონსტიტუციითა და დაეყრდნობიან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები

1999 წლის 27 აპრილს, საქართველომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას (შემდგომში – ევროპული კონვენცია/კონვენცია). კონვენცია ძალაში 1999 წლის 20 მაისს შევიდა. ძალაში შესვლის შემდგომ, საქართველოს ეკისრება კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში – ევროპული სასამართლო), რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის საფუძველზე, პასუხისმგებელია ზედამხედველობა გაუწიოს კონვენციის ხელშემკვრელი ყველა სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტებს, სასამართლო და მმართველობით გადაწყვეტილებებს, მათი კონვენციასთან შესაბამისობის კუთხით და შესაბამისად, უზრუნველყოს კონვენციაში განმტკიცებული უფლებების დაცვა. სასამართლო პრაქტიკის განვითარება ევროპულ კონვენციას ცოცხალ ინსტრუმენტად (Living Instrument) აქცევს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს, მის მიერ განვითარებული პრაქტიკით, ისე შეუძლია გააფართოვოს კონვენციის გარანტირებული უფლებები, რომ ის იხეთ ვითარებასაც შეიძლება მოერგოს, რომელიც უშუალოდ კონვენციის მიღების დროს არ იყო განჭვრეტადი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელზეც კონვენციის სისტემა დგას, არის სოლიდარობის პრინციპი (The Principle of Solidarity). სოლიდარობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ სასამართლოს პრეცედენტული სამართალი წარმოადგენს კონვენციის ნაწილს და სახელმწიფოებმა არამხოლოდ ის გადაწყვეტილებები უნდა ადასრულონ, რომლებიც უშუალოდ მათ მიმართ არის გამოტანილი, არამედ, უნდა გაითვალისწინონ ის შესაძლო შედეგები, რაც სხვა საქმეებში გამოტანილმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მათ სამართლებრივ სისტემასა და პრაქტიკაზე.²

2 Parliamentary Assembly Resolution 1226 (2000) Execution of judgments of the European

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები კონვენციის კონკრეტული დარღვევის განხილვაზეა მიმართული და მოქმედებს მხოლოდ წარმოების მხარეთა მიმართ (ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტი), საყოველთაოდ აღიარებული და დამკვიდრებულია, რომ ეს გადაწყვეტილებები უნდა იქნას გათვალისწინებული ეროვნული სასამართლოების მიერ³. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულ გამოყენებას ეროვნული სასამართლოების მიერ, წარმოადგენს საქართველოს შიდა კანონმდებლობის ნაწილს. 2022 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველომ წარადგინა განაცხადი ევროკავშირში გაწევრებასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ პრიორიტეტად საქართველოს განესაზღვრა კანონის შემუშავება, რომლის თანახმადაც ქართული სასამართლოები პროაქტიულად გაითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ამ პირობის შესრულების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა არაერთ კანონში, მათ შორის, საპროცესო კანონმდებლობასა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებებით, ერთმნიშვნელოვნად ჩაიწერა, რომ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ დადგენილებაში „შეიძლება მიეთითოს აგრეთვე „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.“ ასევე, ცვლილებების შედეგად, სააპელაციო სასამართლოში საჩივარის დასაშვებობის ერთ-ერთ წინაპირობად განისაზღვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან.⁴

Court of Human Rights, par. 3. <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=16834&lang=en>

3 გერმანიის შემთხვევაში: იხ. გერმ. ფედ. საკონსტ. სასამართლოს გადაწყვეტილება 14.10.2004 – 2 BvR 1481/04

4 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 272.

აღნიშნული სრულად შეესაბამება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას: იმდენად, რამდენადაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ითვალისწინებს სანქციებს, რომლებიც თავიანთი ხასიათით დამსჯელი ან შემაკავებელი, პრევენციულია (მაგალითად, ჯარიმა ან პატიმრობა), მათზე ვრცელდება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი⁵. ამ კონტექსტში ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს „სისხლისსამართლებრივ ბრალდებაზე“. აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლო ამ ცნებას ავტონომიურად განმარტავს, რის მიხედვითაც მე-6 მუხლის გავრცელება-გამოყენების გადამწყვეტი ფაქტორებია:

- კლასიფიკაცია ეროვნული სამართლის მიხედვით,
- სამართალდარღვევის რეალური, ფაქტობრივი ხასიათი და
- სანქციის სახეობა და სიმკაცრე.

ერთი მხრივ, ევროპული კონვენციის მოქმედების სფერო ყოველთვის მოიცავს ისეთ შემთხვევებს, სადაც არსებობს თავისუფლების აღკვეთის საფრთხე, ხოლო, მეორე მხრივ, ევროპული სასამართლოს შეფასებითა და მისი პრაქტიკის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ჯარიმებსაც გააჩნია ჩარევის იმგვარი ინტენსივობის ხარისხი, რომელიც ამართლებს კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო გარანტიების გამოყენება-გავრცელებას⁶. საკმარისია სამართლებრივი ნორმის ზოგადი ხასიათი და სანქციის როგორც პრევენციული, ასევე რეპრესიული მიზანი იმის დასადგენად, რომ მე-6 მუხლით გათვალისწინებული „დარღვევა“ ამავე მუხლის გაგებით სისხლისსამართლებრივად იქნას მიჩნეული. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ გათვალისწინებული სანქციის სიმსუბუქე (სისხლისსამართლებრივ სასჯელთან შედარებით) არ ართმევს დარღვევას მის სისხლისსამართლებრივ ბუნებას⁷. სწორედ ამავე ლოგიკით,

5 საქმე Mikhaylova vs. Russia, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 19.11.2015 – App.Nos. 46998/08.

6 საქმე Öztürk vs. Germany, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 21.2.1984, NJW 1985, 1273.

7 საქმე Lutz vs. Germany, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 25.8.1987, EGMR Série A / Series A Nr. 123.

ევროპული სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს, რომ კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფომ სასამართლოების განტვირთვის მიზნით ნაკლებად მნიშვნელოვანი კანონდარღვევების განხილვა მიანდოს ადმინისტრაციულ ორგანოებს, იმის უზრუნველყოფით, რომ ამ შემთხვევაში სამართალდამრღვევ პირს მაინც ეძლევა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები. მართალია, მისასაღმებელია, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფო მცირე კანონდარღვევებს არ დააკვალიფიცირებს დანაშაულად და ამ გზით მოახდენს მათ დეკრიმინალიზაციას, თუმცა ეს არ შეიძლება ნიშნავდეს დამრღვევი პირისთვის ევროპული კონვენციის მე-6 და მე-7 მუხლებით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებების ჩამორთმევას⁸.

2023 წლის 8 ნოემბრის ანგარიშში ევროკომისიამ საქართველოს მე-11 პრიორიტეტი შესრულებულად ჩათვალა, ვინაიდან პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენებას, ამ გადაწყვეტილებებზე წვდომის უზრუნველყოფას და მოსამართლეების, პროკურორების და ადვოკატების კვალიფიკაციის ამაღლებას შეეხებოდა.⁹ თუმცა, ევროკომისიამ მიუთითა, რომ მნიშვნელოვანი იყო ძალისხმევის გაწევა ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებისათვის.¹⁰

ანგლო-ამერიკული სამართლის გავლენით, ევროპული კონვენცია ბევრ ეროვნულ კონსტიტუციასთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტ საპროცესო უფლებას შეიცავს. ამრიგად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ამ სფეროში დიდ გავლენას ახდენს ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნული სამართლის განვითარებაზე.

8 Mikhaylova vs. Russia, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 19.11.2025 – Appo.Nos. 46998/08.

9 European Commission, Georgia 2023 Report, SWD(2023) 697 final, Brussels, 8.11.2023, 12.

10 ევროკომისიის მიერ საქართველოსათვის განსაზღვრული 9 ნაბიჯიდან, მე-9 ნაბიჯი შეეხება ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებას, მათ შორის, მეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფით. იხ. https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/2023-communication-eu-enlargement-policy-extract-about-georgia_en, [27.04.2023].

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების კავშირი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლები ხშირად გამოიყენება შეკრებისა და მანიფესტაციების შესაზღუდად. ამ თავში მიმოვიხილავთ ამ მუხლების შინაარსს და მის შემხებლობას შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებასთან.

166-ე მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას წვრილმანი ხულიგნობისათვის. მისი შინაარსი მოიცავს შემდეგს:

წვრილმანი ხულიგნობა – საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს.

სიტყვა-სიტყვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილი კრძალავს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე უცენზურო ლანძღვა-გინებას.

ამ მუხლის პრაქტიკაში გამოყენებისას პრობლემას ვაწყდებით ორი მიმართულებით:

1. როგორ აფასებს სასამართლო რა ითვლება ლანძღვა-გინებად ან შეურაცხყოფელ ქმედებად;
2. შესაძლოა გამონათქვამი უცონზურო იყოს, თუმცა, ის მაინც ექცეოდეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში და შესაბამისად, მის შესაზღუდად ამ მუხლის გამოყენება დაარღვევს გამოხატვის თავისუფლებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, „შეურაცხყოფელ გამონათქვამებს შესაძლოა განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდეს ინდივიდისთვის საკუთარი აზრისა და შეხედულებების გადმოსაცემად ხელისუფლების კრიტიკის დროს. თუმცა ეს არ უგულებელ

ლყოფს იმ ფაქტს, რომ უხამსი გამოთქმები ნაკლები ღირებულების მატარებელია, რის გამოც, მათი დაცულობის ხარისხი ვერ გაუთანაბრდება არგუმენტირებულ, თუნდაც ძალიან მწვავე კრიტიკას.“¹¹ შესაბამისად, უხამსი გამონათქვამის აღსაკვეთად 166-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა შესაძლოა ჩაითვალოს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევად. აქვე აღსანიშნავია, რომ წინამდებარე შემთხვევაში შესაძლოა სახეზე იყოს ევროპული კონვენციის მე-6 და მე-7 მუხლების დარღვევა, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ამგვარი ფართო ფორმულირება სავარაუდოდ არ აკმაყოფილებს ნორმის სათანადო განსაზღვრულობის სტანდარტს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, თუ სახეზეა: „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ან ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა)“.

მუხლი 173. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის, სპეციალური პე-

11 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის N1/4/1394 გადაწყვეტილება საქმეზე ზვიად კუპრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-9

ნიტენციური სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ან ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ან ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარიდან 5 000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 60 დღემდე ვადით.

მუხლის დეფინიციის შესაბამისად, პრობლემურია შემდეგი საკითხები:

1. ფასდება თუ არა, შესაბამისი პირის მოთხოვნა იყო თუ არა კანონიერი;
2. როგორ აფასებს სასამართლო რა ითვლება ლანძღვა-გინებად ან შეურაცხმყოფელ ქმედებად;
3. შესაძლოა გამონათქვამი უცონზურო იყოს, თუმცა, ის მაინც ექცეოდეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში და შესაბამისად, მის შესაზღუდად ამ მუხლის გამოყენება დაარღვევს გამოხატვის თავისუფლებას.

ამდენად, როდესაც მოსამართლე იხილავს 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე დაწყებულ სამართალდარღვევის საქმეს, აუცილებელია, ყურადღება გაამახვილოს დასახელებულ საკითხებზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ მუხლებით საქმის წარმოება დაკავშირებულია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების კონტექსტთან. ამით მოსამართლე თავიდან აიცილოს კონსტიტუციის გარანტირებული უფლებების დარღვევას.

3. რა პრობლემები გამოიკვეთა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების კონტაქტში ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით მიღებულმა გადაწყვეტილებებმა

ევროპულმა სასამართლომ საქართველოსთან მიმართებით ბოლო წლებში სამი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომლებიც დაკავშირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენებისას განმცხადებლების კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევასთან.¹² ეს საქმეები შეეხებოდა განმცხადებლების ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მიცემას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) ან/და 173-ე (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლების საფუძველზე. ეროვნული სასამართლოების მიერ სამართალდარღვევად შეფასდა სხვადასხვა ფორმით გამოხატული პროტესტი შეკრება/მანიფესტაციების დროს. სამივე საქმეზე დადგინდა დარღვევა, მათ შორის, ორ საქმეზე კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა, მე-10 მუხლის გათვალისწინებით, ხოლო ერთზე – მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-11 მუხლის დარღვევა.

ეს საქმეები გამოიკვეთს ეროვნული სასამართლოების მიერ საქმეების განხილვისას დაშვებულ ოთხ მნიშვნელოვან პრობლემას:

- პოლიციელის ჩვენებებისათვის მომეტებული მნიშვნელობის მინიჭება, რაც იწვევს მტკიცების ტვირთის შებრუნებას
- პოლიციის მოთხოვნის „კანონიერების“ შეფასება ხდება არასაკმარისი სტანდარტით;
- არ ხდება სადავო ქცევის კონტექსტისა და ქცევის სათანადო შეფასება;
- დაცისრებული პასუხისმგებლობის პროპორციულობა.

12 ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ 5631/16; ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 31349/20; მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, 23158/20; 31365/20; 32525/20.

3.1. ბრძანების ან მოწოდების კანონიერების გადამოწმება

ყოველ კონკრეტულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეში უნდა შემოწმდეს, იყო თუ არა მოწოდება კანონიერად გაცემული, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაშია სახეზე სასკ-ის 173-ე მუხლის დისპოზიცია. ამისათვის საჭიროა დადგინდეს, იყო თუ არა ბრძანება ან მოწოდება ფორმალურად და მატერიალურად კანონიერი.

3.1.1. ფორმალური კანონიერება

სახელმწიფო ორგანოს ქმედება ფორმალურად კანონიერია მაშინ, როცა ის მოქმედებდა თავისი ტერიტორიული და საგნობრივი განსჯადობის ფარგლებში და დაცული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით (სზაკ) და სხვა სპეციალური ნორმებით დადგენილი წესები და მოთხოვნები.

3.1.2. მატერიალური კანონიერება

ბრძანება ან მოწოდება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ის მატერიალურად კანონიერია მაშინ, როცა ემყარება კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას და დისკრეციული გადაწყვეტილება გგანხორციელებულია სზაკ-ის მე-6 მუხლის შესაბამისად. გარდა ამისა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს თანაზომიერების სტანდარტს, განსაკუთრებულად კი, ამ აქტით განსაზღვრული საშუალება უნდა იყოს სათანადო და აუცილებელი დასახული მიზნის მისაღწევად.

3.2. პოლიციელის ჩვენებებისათვის მომეტებული მნიშვნელობის მინიჭება, რაც იწვევს მტკიცების ტვირთის შეზღუდვას

პოლიციელთა ჩვენებებისათვის მომეტებული მნიშვნელობის მინიჭების პრობლემა აღწერილია საქმეში – „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“. ევროპულმა სასამართლომ გააკრიტიკა ეროვნული სასამართლოს მიდგომა „კეთილსინდისიერი მმართველობის პრეზუმფციის“ შემოტანით მტკიცების ტვირთის შეზღუდვასთან დაკავშირებით. კეთილსინდისიერი მმართველობის პრეზუმფციის სტანდარტს ეროვნული სასამართლოები განსაკუთრებით ხშირად იყენებენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეებზე და განმარტავენ, რომ პოლიციელების მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი იმოქმედებენ კეთილსინდისიერად მათი მოვალეობების შესრულებისას, გააჩნიათ ყველა შესაბამისი თვისება და უნარი, საკმარისად შეაფასონ სიტუაციის კონკრეტული გარემოებები.

ამ ვარაუდის საპირისპიროდ, ეროვნული სასამართლოები განმარტავენ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევი პირების მიერ მიცემულ ახსნა-განმარტება არ შეიძლება ჩაითვალოს საქმის გარემოებების დადგენის უდავო მტკიცებულებად, თუ სხვა მტკიცებულებებით არ არის დადასტურებული. [...] პირების მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებას, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება, ზოგადად, არ ენიჭება მაღალი სანდოობის ხარისხი, იმის გათვალისწინებით, რომ [ეს პირები] არიან დაინტერესებული მხარეები და რომ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაძლოა მიზნად ისახავდეს დანაშაულის დაფარვას [და] სანქციების თავიდან აცილებას, [სხვა] მიზნებთან ერთად. შესაბამისად, ასეთი პირების მიერ მიცემული ჩვენებები ყოველთვის უნდა განიხილებოდეს საქმესთან დაკავშირებით შეგროვებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად.¹³

13 „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, პარაგრაფი 23.

საქმეში – „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ მეორე მომჩივანთან მიმართებით ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა დაადგინა, რადგან:

„მის წინააღმდეგ პოლიციის ახსნა-განმარტებები არ იყო გამყარებული სხვა მტკიცებულებებით, გარდა პოლიციელების ჩვენებისა [...] ასეთ გარემოებებში მეორე მომჩივანს, ფაქტობრივად, შეუქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ უნდა დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა, პოლიციის ბრალდებების ჩარჩოს ფარგლებში, ბრალმდებელი მხარის განმარტების გარდა სხვა რაიმე მტკიცებულების არარსებობის პირობებში. [...] სასამართლო აღგენს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ზემოაღნიშნული მიდგომა პოლიციელების მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების მიმართ ძირს უთხრის წინამდებარე საქმის კონკრეტულ გარემოებებში, მეორე მომჩივნის წინააღმდეგ საქმისწარმოების საერთო სამართლიანობას. არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არის მითითებული, რომ მან საკმარისად განიხილა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიდგომა.“¹⁴

ევროპული სასამართლოს სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები:

„მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებების დასაშვებობას ძირითადად შიდა სამართლის ნორმები არეგულირებს, სასამართლოს ამოცანად რჩება იმის დადგენა, იყო თუ არა მთელი პროცესის განმავლობაში სამართლიანობის მოთხოვნა დაცული, როგორც ამას კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს [...] მტკიცებულებების მიღების კონტექსტში სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს უნდა ჰქონდეს „გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს თავისი საქმე ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ ჩააყენებს არახელსაყრელ მდგომარეობაში თავისი ოპონენტის მიმართ.[...] სასამართლომ დაადგინა,

14 „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, პარაგრაფი 64.

რომ განმცხადებლების დაპირისპირების გარემოებები სპეციალური დანიშნულების პოლიციასთან ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში სადავო იყო მხარეთა შორის. მიუხედავად ამისა, ამ პროცესებში ჩართული სასამართლოები დაეყრდნენ მხოლოდ პოლიციის მიერ წარმოდგენილ ვერსიას და უარი თქვეს დამატებითი მტკიცებულებების მიღებაზე, მათ შორის ვიდეოჩანაწერებზე, ან სხვა მოწმეების გამოძახებაზე, მაშინ როცა განმცხადებლები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ პოლიციას დაკავებამდე არ გაუცია რაიმე ბრძანება. სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდების საფუძვლად არსებული გადამწყვეტი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ არსებული დავის პირობებში, როდესაც ბრალდების მხარის ერთადერთი მოწმე თავად ის პოლიციელები იყვნენ, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ სადავო მოვლენებში, სამართლიანობის დაცვის მიზნით აუცილებელი იყო, რომ [...] სასამართლოს ამ მტკიცებულებების სარწმუნოების დასადასტურებლად ყველა გონივრული შესაძლებლობა ამოეწურათ. ამის არგაკეთება წინააღმდეგობაში მოდიოდა ბრალდების მხარის მიერ საქმის მტკიცების ფუნდამენტურ მოთხოვნასთან და ერთ-ერთ ძირითად პრინციპთან სისხლის სამართალში, კერძოდ *in dubio pro reo* (ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ).¹⁵

„ [...] სასამართლომ უარყო მისი მცდელობა დაეზუსტებინა დაკავების დრო და ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტები ადმინისტრაციული ბრალდებების განსაზღვრისთვის გადამწყვეტი იყო. [...] მოსამართლემ გადაწყვიტა, დაყრდნობოდა მხოლოდ პოლიციის ვერსიას, ვინაიდან ისინი იყვნენ „მხარე, რომელსაც არ გააჩნდა პირადი ინტერესი“. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ფაქტების მნიშვნელობისა და განმცხადებლის დაკავებაში მონაწილე პოლიციის ოფიცრის როლის გათვალისწინებით, მოსამართლეს აუცილებლად უნდა ამოეწურა ყველა გონივრული შესაძლებლობა იმის დასადგენად, ზუსტად როდის და სად დააკავეს პირველი განმცხადებელი. სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ თვითმხილველების გამოძახება, რომლებმაც შესაძლოა

15 საქმე NAVALNYY AND YASHIN v. RUSSIA, (Application no. 76204/11), პარ. 82-83.

ნათელი მოჰფინეს აღნიშნულ მოვლენებს, მარტივად შეიძლებოდა. მათი სახელები და მისამართები ცნობილი იყო; ოთხი მათგანი დაკავებული იქნა განმცხადებელთან ერთად და, მისი აღვოცატის განცხადებით, ისინი სასამართლოს გარეთ ელოდნენ, რათა ჩვენება მიეცათ. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ არ მიუთითა რაიმე ტექნიკურ დაბრკოლებაზე ამ პირების დასადგენად. მან უბრალოდ მიიჩნია, რომ მათი დაკითხვა საქმის წარმოებისთვის ზედმეტი იყო. [...] მოსამართლემ პოლიციის მიერ წარმოდგენილი ჩვენებები უყოყმანოდ და უპირობოდ მიიღო და პირველ განმცხადებელს სრულად აღუკვეთა შესაძლებლობა წარედგინა საწინააღმდეგო მტკიცებულებები. სასამართლო აღიარებს, რომ ბრალდებები, რომლებიც განმცხადებელს წარედგინა, შედარებით უმნიშვნელო იყო და ამგვარი საქმეების განხილვა, როგორც წესი, დაჩქარებული წესით უნდა წარმართულიყო. თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლის გამამტყუნებელი გადაწყვეტილება დაყრდნობილი იყო ურთიერთგამომრიცხავ მტკიცებულებებზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდა სასამართლოების მიერ პოლიციის ჩვენების უპირობო მიღებამ და დაცვის მხარის მოწმეების გამოკვლევაზე უარის თქმამ, მათი ჩვენებების რელევანტურობის განხილვის გარეშე, გამოიწვია დაცვის უფლებების შეზღუდვა, რაც შეუთავსებელია სამართლიანი სასამართლოს გარანტიებთან.”¹⁶

„ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა პოლიციის ოფიცრები კონვენციის მე-6 მუხლის 3 (დ) პუნქტის მნიშვნელობით მოწმეებად ჩაითვალოს. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ „მოწმის“ ცნება კონვენციის სისტემაში ავტონომიურია და არ არის დამოკიდებული შიდა სამართლებრივი სისტემების კლასიფიკაციებზე. შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და 3 (დ) პუნქტებით გათვალისწინებული გარანტიები ვრცელდება ნებისმიერ ჩვენებაზე, რომელიც შესაძლოა არსებითად გახდეს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველი [...] არსებითი განსხვავება არ არსებობს „მოწმის“ ჩვენებასა და პოლიციის ოფიცრის მიერ თავისი ხელმძღვანელობისთვის მომზა-

16 საქმე KASPAROV AND OTHERS v. RUSSIA, (Application no. 21613/07), პარ. 64-66.

დებულ მოხსენებას შორის. ზემოთ მოცემული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში პოლიციის ოფიცრები უნდა ჩაითვალოს „მოწმეებად“, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პირველადი ინსტანციის სასამართლომ ისინი თავად გამოიძახა მოწმეებად იმ სამართალდარღვევების საქმეზე, რომელშიც განმცხადებლებს ედებოდათ ბრალი, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ურთიერთგამომრიცხავი განმარტებების არსებობის გამო.“¹⁷

„[...] თანასწორობის პრინციპი – რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფრო ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტია – მოითხოვს, რომ თითოეულ მხარეს მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს თავისი საქმე ისეთ პირობებში, რომლებიც მას არსებითად არ დააყენებს მისი ოპონენტის მიმართ არახელსაყრელ მდგომარეობაში.“¹⁸

გერმანული გამოცდილება

1. მოსამართლის ვალდებულება ფაქტობრივი გარემოებების დადგენისადმი და პრინციპი „in dubio pro reo“ (ეჭვის შემთხვევაში, ბრალდებულის სასარგებლოდ)

გერმანიაში „in dubio pro reo“ სისხლის სამართლის პროცესის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია, მიუედავად იმისა, რომ იგი უშუალოდ კანონით არ არის მოწესრიგებული. მაგრამ, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის § 261-ის მიხედვით, სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, თუკი ის დარწმუნებულია ბრალდებას საფუძვლად დადებული შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების არსებობაში. გერმანიის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის § 46-ის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, როგორც

17 საქმე ÜREK AND ÜREK v. TURKEY, (Application no. 74845/12), პარ. 50.

18 საქმე Kress v. France, (Application no. 39594/98), პარ. 72.

წესი, გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები. რამდენადაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალშიც მოქმედებს კანონიერებისა და ბრალის პრინციპი, სისხლის სამართლის პროცესის გარანტიები („in dubio pro reo“, „nemo tenetur se ipsum accusare“, „ne bis in idem“) ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია. „in dubio pro reo“ (ექვსის შემთხვევაში, ბრალდებულის სასარგებლოდ) პრინციპი ასევე ეფუძნება უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომელიც გარანტირებულია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე- პუნქტით. ევროპული სასამართლო იმასთან ერთად, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა თავისი ბუნებით სისხლის სამართლის განყენებულ სფეროს მიეკუთვნება, მიიჩნევს, რომ პროცესუალური გარანტიები, მათ შორის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, ვრცელდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე¹⁹ („სისხლის სამართალი ფართო გაგებით“).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრინციპი „in dubio pro reo“ მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებს ეხება და არა სამართლებრივ შეაფასებებს. შესაბამისად, ის მოსამართლეს არ ავალდებულებს, სამართლებრივი ნორმის ისეთ განმარტებაზე შეჯერდეს, რომელიც ბრალდებულისთვის ყველაზე ხელსაყრელია.

პრინციპი „in dubio pro reo“ არ წარმოადგენს მტკიცებულების, არამედ გადაწყვეტილების მიღების წესს. ის არ განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს რომელიმე ჩვენება, არამედ განსაზღვრავს მოქმედების წესს იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა მტკიცებულება გამოკვლეულია, მაგრამ დანაშაულის შემადგენლობის, დასჯადობის დამაფუძნებელი გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები მაინც დაუდგენელია. შესაბამისად, სასამართლო ყოველთვის ვალდებულია, სრულად გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ შეუძლია კონკრეტული მტკიცებულებების გამოკვლევაზე უარის თქმა მხოლოდ „in dubio pro reo“ პრინციპზე დაყრდნობით.

19 საქმე Öztürk vs. Germany, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 21.2.1984 – 8544/79, NJW 1985, 1273.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული სამართალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე ასევე იცნობს მტკიცებულებათა გამოკვლევის გამარტივებას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ გერმანიის კანონის § 77-ის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას დამატებითი მტკიცებულებების გამოკვლევაზე, თუ მისი რწმენით, ისინი საჭირო არ არის სიმართლის დასადგენად. ასეთ შემთხვევებში დასაშვებია მტკიცებულებების შუამდგომლობის უარყოფაც. ამ კონტექსტშიც გადაწყვეტ როლს თამაშობს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლო პროცესი (სამართლიანობის პრინციპი). ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც აფასებს წარმოების სამართლიანობას. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბრალდებულის თავდაცვის შესაძლებლობები და მტკიცებულების მნიშვნელობა მსჯავრდებისთვის²⁰.

2. უწმაწური გამონათქვამები და გამოხატვის თავისუფლება

გერმანიის ძირითადი კანონის (GG) მე-5 მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლებას. თუმცა ის არ არის შეუზღუდავი. ძირითადი კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით გამოხატვის თავისუფლების ზღვარი განსაზღვრულია ზოგადი კანონებითა და პიროვნული ღირსებისა და პატივის დაცვით. პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს, გვაქვს თუ არა საქმე ფორმალური შეურაცხყოფის ფაქტთან – ანუ გამოხატვასთან, რომელიც მიზნად ისახავს მხოლოდ პიროვნების დისკრედიტაციას და არ ემსახურება თემატურ დისკურსს. ასეთ შემთხვევაში იკვეთება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §185-ით გათვალისწინებული შეურაცხყოფის დანაშაული. თუმცა, გამოხატვები, რომლებიც „ერთი მხედვით“ ფორმალური შეურაცხყოფის შემადგენლობას არ ქმნის, შესაძლოა მაინც გასცდეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. ასეთ

20 საქმე Schenk vs. Switzerland, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 12.7.1988 – 10862/84

შემთხვევებში სასამართლო ვალდებულია, შეფასება განახორციელოს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული კრიტერიუმების საფუძველზე.

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ ახალ გადაწყვეტილებაში²¹ განიხილა, განეკუთვნება თუ არა გამოხატვის თავისუფლების მოქმედების სფეროს სოციალურ ქსელებში ცნობილი პოლიტიკოსის მიმართ სექსუალური შინაარსის უწმაწური გამოხატვები. სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი შემთხვევის შეფასებისას პრიორიტეტი არ ენიჭება გამოხატვის თავისუფლებას პოლიტიკოსის ზოგად პიროვნულ უფლებებთან (ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი) მიმართებით და პოლიტიკოსების მიმართ დაუშვებელია, დაცვა იყოს შემცირებული სერიოზული შეურაცხყოფის შემთხვევებში.

მსგავსი მიდგომა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) განმარტებისას. ამ მუხლის დაცვის სფეროს განეკუთვნება ასევე ისეთი გამოხატვებიც, რომლებიც შეიძლება იყოს შემაწუხებელი, შეურაცხმყოფელი ან შოკის მომგვრელი²². ვინაიდან, გამოხატვის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ გამოხატვის შინაარსს, არამედ მისი ფორმებსაც²³. თუმცა, ეს არ ვრცელდება განცხადებებზე, რომლებიც უტოლდება განზრახ დამცირებას ან მხოლოდ პირის უკონტექსტო ლანძღვას ისახავს მიზნად²⁴.

3. პოლიციის თანამშრომლების ჩვენებების შეფასება

21 გერმ. ფედ. საკონსტ. სასამართლოს განჩინება 19.12.2021 – 1 BvR 1073/20, NJW 2022, 680

22 Sik vs. Türkei, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 8.7.2014 – 53413/11, პარ. 101.

23 საქმე Čerferin vs. Slovenia, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 16.01.2018 – 40975/08

24 Rujak vs. Kroatien, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 2.10.2012 – 57942/10, პარ. 30 f.

გერმანიაშიც, როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში პოლიციელთა ჩვენებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამასთან, განხილვის საგანი არ არის, რომ პოლიციელი ითვლება „მოწმედ“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის გაგებით. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინს „მოწმე“ კონვენციაში აქვს ავტონომიური მნიშვნელობა²⁵. ყველა ის ჩვენება, რომელიც მნიშვნელოვანწილად საფუძვლად შეიძლება დაედოს მსჯავრს, განიხილება მტკიცებულებად, ფართო გაგებით. ეს შეიძლება იყოს კლასიკური გაგებით მოწმის ან თანაბრალდებულის ჩვენება და მასზე, განურჩევლად იმისა, თუ ვის ჩვენებაზეა საუბარი, ვრცელდება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარანტიები²⁶.

მტკიცებულებების შეფასებისას არ არსებობს რაიმე სამართლებრივი პრეზუმფცია პოლიციელთა ჩვენებების სისწორის მიმართ, რომელიც, მაგალითად, გამოიწვევდა მტკიცების ტვირთის შებრუნებას, ვინაიდან აღნიშნული წინააღმდეგობაში იქნებოდა უდანაშაულობის პრეზუმფცია და „in dubio pro reo“ პრინციპთან.

თუმცა, ხშირად აღინიშნება ტენდენცია, რომ პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებებს სასამართლო უფრო მაღალი სანდოობით აღიქვამს. ეს იმით აიხსნება, რომ პოლიციელი თავის გამოცდილებას პროფესიული საქმიანობის ფარგლებში იღებს, რაც პირადი მოტივაციის რისკს არსებითად ამცირებს²⁷. ასევე, პოლიციელები ზოგადად განიხილებიან, როგორც საიმედო მოწმეები, რომლებიც მზადყოფნაში არიან, წარადგინონ საქმეზე სრულყოფილი, თანმიმდევრული და დამაჯერებელი ინფორმაცია, რითიც ეხმარებიან სასამართლოს საქმის დროულ განხილვაში.

25 საქმე Vidal vs. Belgium ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 1992, Serie A, Bd. 235 პარ. 33.

26 საქმე Kaste vs. Norway, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 18885/04, ECHR 2006-XIII პარ. 53.

27 გერმ. უმაღლ. ფედ. სასამართლოს გადაწყვეტილება 20.11.1990 – 1 StR 562/90, NStZ 1991, 194

მიუხედავად ამისა, პოლიციელების ჩვენებების შეფასება უნდა განხორციელდეს დიფერენცირებულად. მათი ჩვენებებიც ისევე შესაძლებელია შეიცავდეს შეცდომებსა და ხარვეზებს, როგორც ნებისმიერი სხვა მოწმის ჩვენება. ამასთან, გერმანიაში სასამართლოს მიერ დაწესებული ვალდებულება – პოლიციელმა ჩვენებამდე წინასწარ წაიკითხოს მასალები – შესაძლოა პრობლემატური აღმოჩნდეს, ვინაიდან, სასამართლო დარბაზში მოსამართლეს უჭირს იმის დადგენა, პოლიციელი ჩვენების მიცემისას რამდენად გადმოსცემს თავის უშუალო აღქმას განვითარებული მოვლენების შესახებ, თუ მისი ჩვენება მხოლოდ ოქმისა და სხვა დოკუმენტების დაზეპირებული გადმოცემაა.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ე.წ. „კონფრონტაციის უფლება“, რომელიც ბრალდებულს ანიჭებს უფლებას, თავის მხრივ დაუსვას მოწმეს კითხვები მისი სანდოობის შესასუსტებლად და ასევე მოითხოვოს ბრალდებულის პოზიციისთვის სასარგებლო მოწმეების დაკითხვა.

4. „სამართლებრივ შესაძლებლობათა თანასწორობის“ პრინციპი

სამართლიან წარმოებაზე ბრალდებულის მოთხოვნის უფლებიდან (ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება) გამომდინარეობს „სამართლებრივ შესაძლებლობათა თანასწორობის“ პრინციპი, რომლის თანახმადაც ბრალდებული და მისი წარმომადგენელი პროცესუალურად თანაბარ მდგომარეობაში უნდა იყვნენ სახელმწიფოს/ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელთან მიმართებით. აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, გერმანიის ეროვნული სასამართლოები ადგენს დაცვის მხარის უფლებას, მოითხოვოს ინფორმაცია გამოძიების ორგანოსგან იმ მონაცემებზე, რაც მათ ბრალდებულის შესახებ აქვთ შეგროვებული²⁸. შესაბამისად, დაცვის მხარეს უნდა მიეცეს წვდომა საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, მათ შორის ვიდეოჩანაწერებზე, მათი წინასწარ გაცნობის მიზნით. ეს უფლება ვრცელდება არა მხოლოდ უშუალოდ მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალებზე, არამედ სხვა შესაძლო პარალელური საქმის მასალებზეც, თუკი ისინი წარმოადგენს ერთიან სამართლებრივ კომპლექსს, მოცემულობას და თუ ეს მასალები ასევე სასამართლოს განკარგულებაშია.

5. ვიდეო-თვალთვალი

გერმანული სამართალი, კერძოდ კი, სისხლის სამართლის კოდექსის § 100 c, გარკვეული წინაპირობების არსებობისას უშვებს პირის წინასწარი ინფორმირების გარეშე მის ვიდეო-თვალთვალს, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სხვა გზით ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან დამნაშავის გამოვლენა ნაკლებად ეფექტური იქნებოდა ან გართულებოდა და არსებობს გარემოებები, რომლებიც მიანიშნებს კანონით მითითებულ მძიმე დანაშაულზე.

28 მდრ. მაგ. ბავარიის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს განჩინება 4. January 2021 – 202 ObOWi 1532/20; კარლსრუეს უმაღლესი სამხარეო სასამართლოს განჩინება 25. April 2024 – 2 ORbs 35 Ss 425/23; ბერლინის სამხარეო სასამართლოს განჩინება 17. April 2023 – 3 ORbs 78/23.

საჯარო შეკრებების შემთხვევაში შესაძლებელია ფოტომასალის დამზადება, შეკრებების შესახებ გერმანიის კანონის §12a და §19a-ის შესაბამისად, თუკი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ შეკრებასთან დაკავშირებულია მნიშვნელოვანი საფრთხე საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისთვის. დამატებითი რეგულაციები ვიდეო-თვალთვალის შესახებ მოწესრიგებულია ცალკეული ფედერალური მიწების პოლიციის კანონებში.

ვიდეოჩანაწერების მტკიცებულებად გამოყენებასთან, მის მტკიცებით ძალასთან დაკავშირებით არსებობს საკმაოდ მდიდარი სასამართლო პრაქტიკა სატრანსპორტო მოძრაობის სამართალდარღვევათა საქმეებზე:

- სასამართლომ ვიდეომასალის და პირის უშუალო დაკვირვების საფუძველზე უნდა დაადგინოს, რომ საუბარია ნამდვილად ერთ-სადიმავე პირზე. აქ არსებითი და გადამწყვეტია ჩანაწერის ხარისხი – კონტრასტი, გამოსახულების სიზუსტე და პირის სახის, წინა მხარით წარმოჩენის მკაფიოობა²⁹.
- ტექნიკური გადამოწმების გზით გარანტირებული უნდა იყოს, რომ ჩანაწერი არ შეცვლილა, გაყალბებულია მოგვიანებით (ორიგინალის წარდგენის ვალდებულება).

რა უნდა გააკეთონ ეროვნული სასამართლოს მოსამართლეებმა, რომ თავიდან აირიდონ უფლების დარღვევა:

იმისათვის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საქმის განხილვისას თავიდან აირიდონ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

1. პირის სამართალდამრღვევად მიჩნევისათვის, საქმეში უნდა იყოს მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც უტყუარად დაადა-

29 შდრ. მაგ. AG Castrop-Rauxel, გადაწყვეტილება 22. January 2016 – 6 Owi 200/15, juris

სტურებს მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს; ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-6 მუხლის დაცვის სფეროს გავრცობის შედეგად, უდანაშაულობის პრეზუმფცია (ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი) ასევე მოქმედებს და მოიცავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზეც³⁰.

2. მოსამართლეს არ აქვს უფლება, მტკიცებულებების წარმოდგენა საკუთარი უდანაშაულობის შესახებ დააკისროს იმ პირს, ვისაც სამართალდარღვევის ჩადენას ედავებიან. საკმარისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება მხოლოდ სახელმწიფოს (შინაგან საქმეთა სამინისტროს);
3. თუ საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ პოლიციის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის დოკუმენტები – სამართალდარღვევის ოქმი, პოლიციელის პატაკი, პოლიციელის მიერ პროცესზე გაკეთებული ახსნა-განმარტება – ეს არ უნდა იყოს მიჩნეული საკმარის მტკიცებულებად პირის სამართალდამრღვევად ცნობისათვის;
4. თუ საქმეში წარმოდგენილია ვიდეო ჩანაწერი, რომელიც ზოგადად ასახავს მიმდინარე პროცესს თუმცა, მასში არ არის აღბეჭდილი ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ქცევა, ეს მტკიცებულება არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად პირის პასუხისგებაში მისაცემად;
5. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება საკმარისი მტკიცებულებებით, უნდა გადაწყდეს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის სასარგებლოდ.

30 შდრ. საქმე Engel და სხვ. vs. Netherlands, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 8.6.1976 – 5100/71.

3.3. პოლიციის მოთხოვნის „კანონიერების“ შეფასების სტანდარტი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი აღგენს პასუხისმგებლობას პოლიციის *კანონიერი მოთხოვნისადმი* დაუმორჩილებლობის საფუძვლით. შესაბამისად, საერთო სასამართლოები ამ მუხლის საფუძველზე საქმის განხილვისას ვალდებული არიან, პირის სამართალდამრღვევად ცნობამდე, შეისწავლონ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ მოთხოვნისა თუ განკარგულების კანონიერება, რომლის დაუმორჩილებლობისათვის, პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს.³¹

საქმეში „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მეორე მომჩივანთან მიმართებით პოლიციის მოთხოვნის „კანონიერების“ საკითხის სათანადო შესწავლის ნაკლებობაზე.

საქმეში – „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ მეორე მომჩივანთან მიმართებით ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა დაადგინა, რადგან:

„ხელმისაწვდომი ეროვნული მასალებიდან არ ჩანდა, რომ ის საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ან მან პირადად გადაკეტა პარლამენტის შენობის შესასვლელები, ან ხელი შეუშალა პოლიციელების მიერ მათი გახსნის მცდელობას. [...] მომჩივანი დააკავეს დაახლოებით ორი საათის შემდეგ, მას მერე, რაც პოლიციამ დაიწყო პარლამენტის შენობის გადაკეტილი შესასვლელების გახსნა. გაურკვეველი დარჩა შიდასახელმწიფოებრივ დონეზე და სასამართლოს წინაშე საქმის წარმოების მიმდინარეობისას, მოახერხა თუ არა პოლი-

31 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ს№2/14/1730 განჩინება საქმეზე „ნატალია ფერაძე და კონსტანტინე გურული საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

ციამ, ნაწილობრივ მაინც, გადაკეტილი შესასვლელების გახსნა. თუ მათ ნამდვილად მიაღწიეს ამ მხრივ წინსვლას, მაშინ ეს გავლენას მოახდენდა მეორე მომჩივნის დაკავების აუცილებლობისა და თანაზომიერებაზე შეფასებაზე და მის შემდგომ მსჯავრდებაზე. [...] მაშინაც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ მეორე მომჩივანი მართლაც იყო მათ შორის, ვინც პარლამენტის შენობის წინ ფეხით მოსიარულეთა სივრციდან გადავიდა სატრანსპორტო საშუალებებისთვის განკუთვნილ გზაზე, ეროვნული სასამართლოების მიერ არ გაკეთებულა შეფასება იმის შესახებ, იყო თუ არა გზის ეს გადაკეტვა წინასწარი განზრახვით, თუ აღნიშნული გამოიწვია ადგილზე არსებულმა გარემოებებმა, როგორიცაა მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობა და დაკავშირებული საკითხი პოლიციის მოთხოვნების „კანონიერებასთან“.³²

ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები აღნიშნულ საკითხზე:

„[...] სასამართლო გადაწყვეტილებებში არ არის განმარტებული შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, განსაკუთრებით კი ის, თუ როგორ იქცეოდა ის არეულობისას ან როგორ „არ დაემორჩილა“ პოლიციის თანამშრომლის კანონიერ განკარგულებას, ან რატომ მიიჩნიეს სასამართლოებმა იგი „აქტიური მონაწილეების“ შორის. გადაწყვეტილებებში ასევე არ არის მითითებული, თუ რას ეხებოდა პოლიციის თანამშრომლის მიერ გაცემული განკარგულება და იყო თუ არა ის კანონიერი, განსაკუთრებით საჯარო დონისძიებების შესახებ აქტისა და პოლიციის აქტის მიხედვით.“³³

(...) კანონის დარღვევა, როგორიცაა, მაგალითად არასანქცირებული დემონსტრაცია, ავტომატურად არ ამართლებს შეკრების თავისუფლებაში ჩარევას. ევროპული სასამართლო არასანქცირებული მშვიდობიანი შეკრებებისას, სადაც ადგილი არ აქვს ძალადობას, ითხოვს და მო-

32 „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ პარ. #104-105.

33 საქმე ANNENKOV AND OTHERS v. RUSSIA, (Application no. 31475/10), პარ. 138.

ელის გარკვეულ ტოლერანტობას ადმინისტრაციული ორგანოებისა და სასამართლოების მხრიდან, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი დაეკარგებოდა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გარანტირებულ შეკრების თავისუფლებას³⁴.

(...) ფორმასთან დაკავშირებული მოთხოვნების ავტომატური და ხისტი გამოყენება, მაგალითად, როგორიცაა, შეკრების რეგისტრაციისთვის უჩვეულოდ ხანრძლივი ვადები (რუსეთში: 10 დღე) შეუსაბამოა შეკრების თავისუფლების არსთან³⁵.

გერმანული გამოცდილება

ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის ფორმულირებაც ცხადჰყოფს, რომ ის იცავს მხოლოდ *მშვიდობიან შეკრებებს*. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, აქ გადამწყვეტია შეკრების მონაწილეთა (ან ორგანიზატორთა) ძალადობრივი განზრახვა ან ძალადობისკენ მიდრეკილება³⁶. თუმცა, ის პირები, ვინც შეკრებაში მშვიდობიანად მონაწილეობენ, სარგებლობენ დაცვით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეკრების ცალკეული მონაწილეები ძალადობრივი ქცევით გამოირჩევიან. ასეთ ვითარებაში, კონვენციის დაცვის სფერო შეკრების ყველა დანარჩენ მშვიდობიან მონაწილეზე ვრცელდება³⁷.

34 საქმე Kudrevičius ua/Litauenევროპული სასამართლოს Slg. 2015 Nr. 150, 155 ; იხ. ასევე Faber vs. Hungary; ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 24.7.2012 – 4072108 40721/08 Nr. 47, ევროპული სასამართლო Slg. 2007-III Nr. 37 – Bukta და სხვ./ Hungary; Malafeyeva vs. Russland ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 30.5.2013 –3667304 36673/04 Nr. 136 f.

35 საქმე Lashmankin და სხვ. vs. Russia, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 7.2.2017 – 5781809 57818/09 Nr. 451-დან.

36 საქმე Navalny vs. Russia, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 15.11.2018, 29580/12, პარ. 98.

37 საქმე Kudrevicius vs. Lituania, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 15. 10.2015 – 37553/05, პარ. 97-დან.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის³⁸ თანახმად, გერმანიის სასამართლოებს ეკისრებათ კონვენციის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინება, „მეთოდოლოგიურად გამართლებული განმარტების ფარგლებში“. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილებაში სათანადოდ არ მოხდება კონვენციით დაცული უფლებების გამოკვლევა, დაზარალებულ პირს შეუძლია, აღნიშნული უფლების დარღვევის საკითხი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან დაკავშირებით, დააყენოს როგორც საკონსტიტუციო სარჩელის სახით (გერმანიის ძირითადი კანონის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის 4-ე ქვეპუნქტი), ასევე ინდივიდუალური საჩივრის სახით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (ევროპული კონვენციის 34-ე მუხლი).

ამ საკითხს განსაკუთრებული აქტუალურობა შესძინა ბოლო დროს გარემოს და კლიმატის მცველი აქტივისტების („last generation“) მხრიდან ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიცაა ბერლინი, მიუნხენი და ჰამბურგი, საკმაოდ გავრცელებულმა საგზაო ბლოკადებმა. აქტივისტები მაგისტრალური ქუჩების ბლოკირებისას ხშირად იყენებენ სწრაფი მოქმედების წებოვან ნივთიერებებს, ქუჩაზე ფიზიკურად დამაგრებისთვის, რაც პოლიციას ურთულებს მათი გზიდან მოცილებას, დროის თვალსაზრისით. თუმცა, ასეთი ბლოკადებიც მიიჩნევა მშვიდობიანად და შესაბამისად დაცულია კონსტიტუციის ნორმით, თუ არ ახლავს თან ძალადობისკენ მოწოდება ან რაიმე სხვა გზით დემოკრატიული წესრიგის უარყოფა.

გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლით დაცული შეკრების თავისუფლება ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღიარებულია, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი და საჯარო პოლიტიკური ნების ფორმირების ფუნდამენტური ინსტრუმენტი. შესაბამისად, სასამართლო როგორც წესი, უკუაგდება მის შუზღუდულ ან რესტრიქციულ ინტერპრეტაციას, რამაც შეიძლება დააზიანოს ამ უფლებების რეალიზება³⁹.

38 გერმ. ფედ. საკონსტ. სასამართლოს განჩინება 14.10.2004 – 2 BvR 1481/04 (საქმე Görngülü).

39 გერმ. ფედ. საკონსტ. სასამართლო ს გადაწყვეტილება 22.1.2011 –1 BvR 699/06

რა უნდა გააკეთონ ეროვნული სასამართლოს მოსამართლეებმა, რომ თავიდან აირიდონ უფლების დარღვევა:

იმისათვის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საქმის განხილვისას თავიდან აირიდონ კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

1. მოსამართლემ, პირველ რიგში უნდა შეაფასოს, რა ქმედებებს ახორციელებდა ის პირი, ვისაც სამართალდარღვევის ჩადენას ედავებიან. ქმედების შესაბამისად, უნდა შეფასდეს, არსებობდა თუ არა პოლიციის მხრიდან ჩარევის აუცილებლობა;
2. მოსამართლემ უნდა შეაფასოს, რა მოთხოვნა ჰქონდა პოლიციელს და ასეთი მოთხოვნა ჩაითვლება თუ არა „კანონიერად“ როგორც სამართლებრივი, ასევე, ფაქტობრივი თვალსაზრისით;
3. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე დარწმუნდება, რომ მოთხოვნა სამართლებრივად კანონიერია, უნდა შეაფასოს, რამდენად იყო მიმართული ეს მოთხოვნა იმ პირისადმი, ვის მიმართაც სამართალდარღვევის საქმის წარმოება მიმდინარეობს. მათ შორის, პოლიციელის ზოგადი მოწოდება შეეძლო თუ არა გაეგონა პირს;
4. იმ შემთხვევაში, თუ პოლიციელის მოთხოვნა იყო კანონიერი, უნდა შეფასდეს პირის ქმედება და რაში გამოიხატა მისი მხრიდან პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი არდამორჩეილების ფაქტი;
5. აუცილებელია იმის განხილვა, გამოიწვია თუ არა შეკრებამ საზოგადო ცხოვრების ნორმალური რიტმისა და მიმდინარეობის იმგვარი ხელშეშლა, რომელიც სცდება უმნიშვნელო ხელშეშლის ხარისხს თუ ასეთი შედეგი სახეზე არ არის, სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არ არის გამართლებული.

3.4. სადავო ქაზვის და მისი კონტაქსტის სათანადოდ შეუფასებლობა

ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ 5631/16“ ყურადღება გაამახვილა სადავო ქცევასა და კონტექსტის სათანადოდ შეუფასებლობაზე ეროვნული სასამართლოების მიერ. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნულმა სასამართლოებმა გადაწყვეტილებაში არ იმსჯელეს მომჩივანთა ქცევას რა გავლენა ჰქონდა საზოგადოებრივი ცხოვრების დარღვევის დონეზე. ეროვნულმა სასამართლოებმა ყურადღება გაამახვილეს მხოლოდ გამოხატვის ფორმაზე ისე, რომ გამიჯნეს სადავო განცხადების ვულგარული ხასიათი კონტექსტისა და აშკარა მიზნისგან. ამით, ეროვნულმა სასამართლოებმა მიიღეს მხედველობაში, რომ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) იცავს არა მხოლოდ იმ ინფორმაციას ან იდეებს, რომლებიც აღიქმება დადებითად, ან მიიჩნევა, როგორც უწყინარი ან უმნიშვნელო, არამედ ისეთ ინფორმაციას ან იდეებსაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემაწუხებელია სახელმწიფოსთვის ან მოსახლეობის რომელიმე ჯგუფისათვის.⁴⁰ ევროპულმა სასამართლომ მომჩივნების მიერ საპროტესტო აქციაზე გამოყენებული უხამსი სიტყვა შეაფასა უკმაყოფილების გამოხატვის სტილისტურ ინსტრუმენტად.⁴¹

საქმეში – „ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ მე-11 მუხლის დარღვევა მე-10 მუხლის გათვალისწინებით დაადგინა, რადგან:

„ეროვნულმა სასამართლოებმა ზედმეტად გამიჯნეს, მხოლოდ ფორმაზე ფოკუსირებით, სადავო განცხადების ვულგარული ხასიათი მისი კონტექსტისა და აშკარა მიზნისგან [...] მათ არ აღიარეს, რომ მე-10 მუხლი გამოიყენება არა მხოლოდ იმ ინფორმაციის ან იდეების მიმართ,

40 „ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ პარ. 45.

41 იქვე.

რომლებიც აღიქმება დადებითად, ან მიიჩნევა, როგორც უწყინარი ან უმნიშვნელო, არამედ ისეთი ინფორმაციის ან იდეების მიმართაც, რომლებიც შეურაცხყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემაწუხებელია სახელმწიფოსთვის ან მოსახლეობის რომელიმე სექტორისთვის [...]. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სადავო შეურაცხყოფელი განცხადება არ ყოფილა გაკეთებული კონკრეტულად რომელიმე პიროვნების ან ინსტიტუტის მიმართ, ამიტომაც ის არ შეიძლება ჩაითვალოს შეურაცხყოფად ან კონკრეტული პირის უმიზეზო შეურაცხყოფად. [...] უხამსი სიტყვა მომჩივნებმა გამოიყენეს როგორც სტილისტური ინსტრუმენტი, ქალაქში მიმდინარე სამშენებლო პროექტისადმი თავიანთი ძალიან მაღალი ხარისხის უკმაყოფილების გამოხატვის მიზნით, ხოლო სადავო ფორმა, რომელიც მათ აირჩიეს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საკუთარი აზრის გამოსახატად, თავისთავად, ვერ იქნებოდა საკმარისი საჯარო მანიფესტაციაზე სიტყვის შესაზღუდად, რომელიც მიზნად ისახავდა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხისადმი ყურადღების მიქცევას [...].⁴²

ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები აღნიშნულ საკითხზე:

„ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც წარმოადგენს ჩარევას შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაში (გარდა ძალადობისკენ მოწოდების ან დემოკრატიული პრინციპების უარყოფის შემთხვევებისა), როგორი შოკისმომგვრელი და მიუღებელიც უნდა იყოს ცალკეული შეხედულებები ან სიტყვები უფლებამოსილი ორგანოებისათვის, ცუდ სამსახურს უწევს დემოკრაციას და ხშირად საფრთხემიც აგებს მას“.⁴³

„მცირეა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლები, როდესაც გამოხატვა თუ დებატი პოლიტიკური ხასიათისაა – სადაც გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა უადრესად დიდია – ან როდესაც გამო-

42 „ფერადე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, პარ. 45.

43 საქმე SERGEY KUZNETSOV v. RUSSIA, (Application no. 10877/04), პარ. 45.

ხატვა უკავშირდება საჯარო ინტერესის საგანს. დასაშვები კრიტიკის საზღვრები უფრო ფართოა, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკოსს და არა კერძო პიროვნებას. უკანასკნელისაგან განსხვავებით, პოლიტიკოსი საზოგადოების ყურადღების ცენტრში თავს შეგნებულად აყენებს, მისი ყოველი სიტყვა და საქმე გარდაუვლად ხდება როგორც ჟურნალისტიკის, ისე მთლიანად, საზოგადოების დაჟინებული, გამომცდელი მეთვალყურეობის ობიექტი, ამიტომ პოლიტიკოსს უფრო მეტი შემწყნარებლობის გამოჩენა მართებს“.⁴⁴

„[...] განმცხადებელი სასამართლომ ხულიგნობისათვის სცნო დამნაშავედ, რადგან მან პროკურატურის შენობის წინ გამართული პროტესტის დროს საჯაროდ გამოაფინა სკულპტურები, რომლებიც სასამართლოს შეფასებით, უხამსი შინაარსის იყო, და მათზე პოლიტიკოსისა და რამდენიმე პროკურორის სურათები დაამაგრა, რითაც მათ შეურაცხყოფა მიაყენა და მათი ღირსება შელახა. პირველ რიგში, სასამართლომ მიუთითა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა განმცხადებლის ქცევაზე კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) არ გაავრცელეს, რასაც სასამართლო არ ეთანხმება. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადო დაბალანსებული ანალიზი არ ჩაატარეს და განმცხადებელს გადამეტებული სასჯელი – პირობითი თავისუფლების აღკვეთა – შეუფარდეს. სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, მოცემულ საქმეში არ არსებობდა არანაირი გამართლება თავისუფლების აღკვეთის დაწესებისთვის, რადგან ასეთი სანქცია არა მხოლოდ განმცხადებლისთვის ჰქონდა უარყოფითი შედეგები, არამედ შესაძლოა, სხვებისთვისაც „მსუსხავი ეფექტი“ ჰქონოდა.“⁴⁵

44 საქმე EON v. FRANCE, (Application no. 26118/10), პარ. 59.

45 საქმე MĂȚĂSARU v. THE REPUBLIC OF MOLDOVA, (Applications nos. 69714/16 and 71685/160), პარ. 34-35.

პროპორციულობის პრინციპი და შეფასებები, განხორციელებული გამოსატვის თავისუფლების ფარგლებში: ევროსასამართლოს მიდგომა

ევროპული სასამართლო პროპორციულობის პრინციპის ფარგლებში – უფლებებში ჩარევის გამართლებადობის შეფასებისას – **არჩევანს აქეთებს კონკრეტული უფლებების შინაარსის მიხედვით**. კერძოდ, სასამართლო **განსხვავებულად უდგება დაცვის სხვადასხვა კომპონენტს**, რაც გავლენას ახდენს როგორც სასამართლო კონტროლის ინტენსივობაზე, ისე სახელმწიფოს ვალდებულებების შეფასებაზე. ანუ: **რაც უფრო ცენტრალური საკითხია უფლების რეალიზება, მით უფრო მაღალი სტანდარტით უნდა გაიზიაროს და დაასაბუთოს სახელმწიფომ ჩარევა**.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, **ხდება თუ არა გამოსატვის თავისუფლების განხორციელება საზოგადოებრივი მნიშვნელობის დისკურსის ფარგლებში**. თუ საქმე ეხება საჯარო ინტერესს (მაგალითად, პოლიტიკას, გარემოს დაცვას, საზოგადოებრივ ცხოვრებას), ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ **ეროვნულ ხელისუფლებებს პროპორციულობის შეფასებისას აქვთ უფრო ვიწრო „შეფასების დისკრეცია“**. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში, **უფლებაში ჩარევა იშვიათად იქნება გამართლებული**, ხოლო ევროპული სასამართლოს ინტერვენციის სტანდარტი – **მაღალი**⁴⁶.

გერმანული გამოცდილება

გერმანიაში გამოსატვის თავისუფლება კონსტიტუციით არის დაცული. გერმანიის ძირითადი კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ყველას აქვს უფლება, სიტყვით, წერილობით და გამოსახულებით თავისუფლად გამოსატოს და გაავრცელოს თავისი აზრი.“

46 Haguenaue vs. France, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 22.4.2010 – 34050/05

თუმცა, პრაქტიკაში ხშირად კამათის საგანია, შეიძლება თუ არა ასევე დაცული იყოს განსაკუთრებულად შეურაცხყოფელი ან უხამსი გამონათქვამები – მაგალითად, პოლიტიკოსების მიმართ.

ასეთ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ კონტექსტს, რომელშიც აღნიშნული განცხადება გაკეთდა. გამოხატვის თავისუფლება საშუალებას იძლევა, გამოყენებული იყოს მკვეთრი, პოლემიკური ან მძიმე გამონათქვამები, *მანამ სანამ ისინი დაკავშირებულია კონტექსტთან, კონკრეტულ საკითხთან.*

ამრიგად, დაცვის ფარგლებს სცდება ის შემთხვევა, როდესაც გამონათქვამი მიზნად ისახავს კონკრეტული პირის მხოლოდ პირად შეურაცხყოფას და სხვა არანაირი კავშირი აქვს კონტექსტთან, რაიმე საკითხთან. უკონტექსტო პიროვნული შეურაცხყოფა, რომლის მიზანი მხოლოდ შეურაცხყოფაა და არა დისკუსია, აღარ სარგებლობს კონსტიტუციური დაცვით.

რა უნდა გააკეთონ ეროვნული სასამართლოს მოსამართლეებმა, რომ თავიდან აირიდონ უფლების დარღვევა:

იმისათვის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საქმის განხილვისას თავიდან აირიდონ კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

1. მოსამართლემ, პირველ რიგში უნდა შეაფასოს, კონკრეტული ქცევა ჯდება თუ არა გამოხატვის თავისუფლებაში;
2. უცენზურო შინაარსის გამოხატვა არ შეიძლება იმთავითვე შეფასდეს კანონდარღვევად საქმის გარემოებების და კონტექსტის ანალიზის გარეშე;
3. გამოხატვის ფორმა, რომელიც საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებით პოზიციის/დამოკიდებულების დაფიქსირებას ისახავს მიზნად და არ არის მიმართული კონკრეტული ფი-

ზიკური პირის (ფიზიკური პირების) წინააღმდეგ, თუნდაც ის უცნ-
ზურო ფორმით იყოს გამოხატული, ავტომატურად არ უნდა დაკვა-
ლიფიცირდეს წვრილმან ხულიგნობად.

3.5. დაკისრებული პასუხისმგებლობის პროპორციულობა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები სანქციის ერთ-ერთ სახედ ითვალისწინებენ როგორც ჯარი-
მას, ასევე 15 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას. „[...] რაც არ უნდა
ლმობიერი იყოს სანქცია, მის დაკისრებას იმ გამოხატვისთვის, რომელიც
წარმოადგენს ლეგიტიმური საჯარო დებატების ნაწილს, შეიძლება ჰქო-
ნდეს არასასურველი მსუსხავი ეფექტი გამოხატვის თავისუფლებაზე.“⁴⁷

ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით მიღე-
ბული გადაწყვეტილებები ადასტურებს, რომ პრაქტიკაში პრობლემურია
მოსამართლის მიერ გამოყენებული სანქციის პროპორციულობის საკი-
თხი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პატიმრობა გამოიყენება არაძა-
ლადობრივი ქმედებისათვის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლე-
ბით სარგებლობის კონტექსტში. ევროპულმა სასამართლომ საქმეში
„ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ დარღვევა დაადგინა სწო-
რედ იმიტომ, რომ საპროტესტო აქციაზე ლობიოს მარცვლების სროლის
გამო გამოყენებული 8 დღიანი პატიმრობა შეფასდა აშკარად არაპროპო-
რციულ სასჯელად.⁴⁸

**საქმეში – „ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპულმა სა-
სამართლომ მე-11 მუხლის დარღვევა მე-10 მუხლის გათვალისწინე-
ბით დაადგინა რაღგან:**

47 „ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, პარ. 46.

48 მომჩივანი ესროდა პოლიციელებს ლობიოს მარცვლებს და თან ყვიროდა „მონე-
ბის საკვები პოლიციელებისთვის“. (იხ: იქვე, პარ. 7.). 2019 წლის 29 ნოემბერს თბილისის
საქალაქო სასამართლომ მომჩივანი დამნაშევედ ცნო სამართალდამცავი ორგანო-
ების თანამშრომლების შეურაცხყოფისა და მათი კანონიერი ბრძანებების დაუმორჩი-
ლებლობისთვის, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა
ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება. (იქვე პარ. 18, 23).

„დაკისრებული სასჯელის ხასიათი და სიმკაცრე ასევე წარმოადგენს ფაქტორებს, რომლებიც გასათვალისწინებელია ჩარევის თანაზომიერების შეფასებისას, განსახორციელებელ მიზანთან დაკავშირებით. თუ მანიფესტაციის მონაწილეებისთვის დაკისრებული სანქციები სისხლის-სამართლებრივი ხასიათისაა, ისინი განსაკუთრებულ დასაბუთებას მოითხოვს. პრინციპში, მშვიდობიანი მანიფესტაცია არ უნდა დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივი სანქციის დაკისრების საფრთხეს და, განსაკუთრებით, თავისუფლების აღკვეთას. ამგვარად, სასამართლომ გულდასმით უნდა შეისწავლოს ის საქმეები, რომლებშიც ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ არაძალადობრივი ქცევისთვის დაწესებული სანქციები ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის სასჯელს [...]“⁴⁹. სანქციის დაწესებამ, რაც არ უნდა მსუბუქი იყოს ის, იმ პირის მიმართ, რომელიც თავის აზრს გამოხატავს, შეიძლება არასასურველი მსუსხავი ეფექტი იქონიოს საჯარო გამოსვლებზე. [...] მომჩივნის მანიფესტაციაზე ყოფნის ძირითადი მიზეზი იყო პროტესტის გამოხატვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმების განხორციელების მხრივ პარლამენტის წარუმატებლობასთან დაკავშირებით. მისი ქმედებები არც ძალადობრივი ყოფილა და არც პოლიციელებისთვის მიუყენებია რაიმე დაზიანება და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მიზნად ისახავდა მათთვის ფიზიკური ზიანის მიყენებას. ამასთან, განსახილველ ქცევას არ გამოუწვევია ადგილზე გარემოებების ესკალაცია [...] გარდა ამისა, მანიფესტაცია თავისთავად მშვიდობიანად მიმდინარეობდა და მასში უამრავი ადამიანი მონაწილეობდა. თავისი სადავო ქცევით მომჩივანი – პოლიტიკოსი – როგორც ჩანს, გადმოსცემდა თავის აზრს, რომ პოლიციელები მხარს უჭერდნენ მმართველ პარტიას, რომელიც წარმოადგენდა წარუმატებელი რეფორმის წყაროს. ⁵⁰[...] მაშინაც კი, თუ მომჩივნის საქციელი გაამართლებდა ხელისუფლების ორგანოების ჩარევას, მათ უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების გატარება წინამდებარე საქმეში გამოიყენებოდა ძირითადი თავისუფლების განხორციელების კონტექსტში, რაც განსაკუთრებით ფრთხილ მი-

49 „ჩხარტიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, პარ. 58.

50 იქვე, პარ. 59.

დგომას საჭიროებს. ამის საპირისპიროდ, ზემოაღნიშნული არცერთი ელემენტი არ ყოფილა განხილული, როგორც ეროვნული სასამართლოების დასაბუთების ნაწილი თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების დაკისრების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში ციტირებული საფუძვლები – მომჩივნის „პიროვნება“ და მის მიერ ჩადენილი საქციელის „სერიოზულობა“ – საკმარისი იყო, შემდგომი განხილვის გარეშე, რომ რვადღიანი ადმინისტრაციული პატიმრობის სანქცია მიჩნეული ყოფილიყო თანაზომიერ სასჯელად. კონკრეტულად, მიუხედავად იმისა, რომ მითითება მომჩივნის „პიროვნებაზე“ შესაძლოა ეხებოდეს წარსულში მის ნასამართლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო და მასთან დაკავშირებულ, პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე წარდგენილ არგუმენტს (იხ. პარაგრაფი 17 ზემოთ), არ ჩანს, რომ დაკმაყოფილებული იყო კანონით გათვალისწინებული პირობები ასეთი მოსაზრებების დამამძიმებელ ფაქტორად განსახილველად, რადგან მოქმედი სამართლებრივი დებულებები არ იძლეოდა ერთ წელზე უფრო ძველი ადმინისტრაციული სანქციების გათვალისწინების უფლებას (იხ. პარაგრაფი 26 ზემოთ). შესაბამისად, მხოლოდ ეს ელემენტი, სათანადო დასაბუთების გარეშე, არ იყო საკმარისი მომჩივნის არაძალადობრივი, თუნდაც, ხელისშემშლელი ქცევისთვის პატიმრობის სანქციის დაწესების გასამართლებლად. რაც შეეხება მომჩივნის ქცევის „სერიოზულობას“, როგორც ჩანს, ეს ეხება სასჯელის დაკისრების აუცილებლობას ზოგადად და არა არჩეული ზომის თანაზომიერებას და აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად პატიმრობის ვადის – რამდენადაც ხანმოკლე არ უნდა იყოს ის – დაწესების გასამართლებლად, მომჩივნის მიერ გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების უფლებების განხორციელების კონტექსტში.⁵¹

51 იქვე, პარ. 60.

ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები აღნიშნულ საკითხზე:

„[...] სასამართლო აღიარებს, რომ დაკისრებული სანქციების ბუნება და სიმკაცრე ასევე წარმოადგენს იმ ფაქტორებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას დასახული მიზნის მიმართ [...]“⁵²

„ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას გასათვალისწინებელია დაკისრებული სანქციების ხასიათი და სიმკაცრე. როდესაც დემონსტრანტების მიმართ დაწესებული სანქციები სისხლისსამართლებრივ ხასიათს ატარებს, მათი გამართლებისთვის საჭიროა განსაკუთრებული დასაბუთება. მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენება დაუშვებელია, განსაკუთრებით – თავისუფლების აღკვეთის სახით. შესაბამისად, სასამართლო განსაკუთრებული ყურადღებით განიხილავს იმ საქმეებს, სადაც ეროვნული ორგანოების მიერ დაწესებული სანქციები, მათ შორის პატიმრობა, მშვიდობიან გამოსატყვის აქტზე ვრცელდება.“⁵³

„სასამართლო კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც დემონსტრანტები ძალადობრივ ქმედებებში არ ერთვებიან, როგორც ეს მოცემულ საქმეში იყო, საზოგადოებრივი ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია გარკვეული დონით შემწყნარებლობის გამოჩენა მშვიდობიანი შეკრებების მიმართ, რათა კონვენციის 11-ე მუხლით გარანტირებული შეკრების თავისუფლება შინაარსისგან სრულად არ დაიცალოს. სასამართლო შემფოთებულია იმ ფაქტით, რომ განმცხადებლები სისხლისსამართლებრივად დევნის ობიექტი გახდნენ – და პირველ ინსტანციაში გასამართლდნენ – მხოლოდ იმიტომ, რომ მონაწილეობა მიიღეს დაუმტკიცებელ, თუმცა მშვიდობიან დემონსტრაციაში. სასამართლო მიიჩნევს, რომ მშვიდობიანი დემონსტრაცია, პრინციპში, არ უნდა დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივი სანქციის საფრთხეს.“⁵⁴

52 საქმე ÖZTÜRK v. TURKEY, (application no. 22479/93), პარ. 70.

53 საქმე KUDREVIČIUS AND OTHERS v. LITHUANIA, (Application no. 37553/05), პარ. 146.

54 საქმე AKGÖL AND GÖL v. TURKEY, (Applications nos. 28495/06 and 28516/06), პარ. 43.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი ნორმების გავრცელების მიმართ მოიპოვებს და ითვალისწინებს მხოლოდ უკიდურესად შეზღუდული გამოყენების შესაძლებლობას, და ისიც მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აღნიშნული განპირობებულია დამატებითი და აუცილებელი მიზეზებით და საფუძვლით. აღნიშნული მოთხოვნა განსაკუთრებულად თავშეკავებული მიდგომის შესახებ ვრცელდება ასევე სისხლისსამართლებრივი გამოძიების ეტაპზეც.

იმავდროულად, ევროპული სასამართლო კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს საკმაოდ ფართო დისკრეციას უტოვებს ისეთი საპროტესტო აქციების მიმართ, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი წესრიგის იმგვარ დარღვევას და სცდება აუცილებლობით განპირობებულ ზღვარს, ვინაიდან, ამგვარი ქმედებები არ ექცევა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცული (ბირთვული) სფეროს, მისი არსის ქვეშ.

გერმანული გამოცდილება

1. თავისუფლების აღკვეთის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების გადამოწმება

საქმეში ს. გერმანიის წინააღმდეგ, ევროპულმა სასამართლომ 2017 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით (ინდივიდუალური სარჩელი №8844/12) დაადგინა, რომ დაკავების ან თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, პირს უფლება აქვს, მოითხოვოს სასამართლო წესით იმ საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების განხილვა, რომლებიც კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის გაგებით არსებითია თავისუფლების აღკვეთის „მართლზომიერებისთვის“⁵⁵.

55 საქმე Idalov vs. Russland [GK], ინდ. სარჩელი Nr. 5826/03, პარ. 161, 22. May 2012).

ასეთი განხილვა აუცილებლად უნდა განხორციელდეს სასამართლოს მიერ და ჰქონდეს სასამართლო განხილვის ფორმა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ის გარანტიები, რომლებიც შეესაბამება იმ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებულ თავისუფლების აღკვეთის სანქციას. პროცედურა უნდა იყოს კონტრადიქტორული, რაც ნიშნავს სამართლებრივ საშუალებებზე თანსწორ წვდომას მხარეებისთვის – პროკურატურასა და დაკავებულისთვის⁵⁶.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მხარე იცნობდეს მეორე მხარის პოზიციას და ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა მასზე რეაგირებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის, თუ რამდენად ღირებული და მნიშვნელოვანია მეორე მხარის კონკრეტული განმარტებების, პოზიციის ცოდნა, მხოლოდ ბრალდებულის და მისი წარმომადგენლის გადასაწყვეტია. ამრიგად, ეს საკითხი სასამართლოს შესაფასებელი და გადასაწყვეტი არ არის, არამედ მხოლოდ ბრალდებულის.

2. პრევენციული პატიმრობა

გერმანიაში აქტიურად განიხილება პოლიციის მიერ განხორციელებული თავისუფლების აღკვეთის – ე.წ. პრევენციული პატიმრობის – დასაშვებობა, როდესაც მისი მიზანი არის პოტენციური საფრთხის თავიდან აცილება, და არა უკვე ჩადენილი დანაშაულის დასჯა.

24 საათზე მეტი ვადით პირის პატიმრობა მხოლოდ სასამართლოს ნებართვით არის დასაშვები და ასეთ შემთხვევებში გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს განსჯადმა სასამართლომ.

გერმანიის ზოგიერთ ფედერალურ მიწაზე, მაგალითად ბავარიაში, პოლიციის შესახებ კანონმდებლობით პრევენციული პატიმრობა 30 დღემდე შეიძლება გაგრძელდეს, კერძოდ მაშინ, როდესაც არსებობს ისეთი დანაშაულის ან სამართალდარღვევის ჩადენის უშუალო და გარდაუვალი საფრთხე, რომლის მასშტაბი და მნიშვნელობა არსებითია სა-

56 საქმე Grauzinis ./L. Lithuania, ინდ. სარჩელი Nr. 37975/97, პარ. 31, 10. October 2000).

ზოგადობისთვის (იხ. მაგალითად ბავარიის პოლიციის საქმიანობის შესახებ კანონის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტი).

ამგვარი საფრთხის შეფასება და პროგნოზი შესაძლოა დაეფუძნოს, მაგალითად, გავრცელებულ განცხადებებს დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევებშიც კი, თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს უკიდურესი, გარდაუვალი ზომა, რაც ითხოვს კოლიზიაში მყოფი ყველა უფლებისა და კანონიერი ინტერესის შეფასებასა და ურთიერთშეწონვას. მოქმედებები, რომლებიც სრულად ექცევა კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების თავისუფლების (გერმანიის ძირითადი კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილი) ფარგლებში, არ შეიძლება გახდეს პოლიციის მიერ ზომების გატარების საფუძველი. ხოლო თუ დანაშაულებრივი ქმედებით ადგილი აქვს კონსტიტუციური დაცვის ფარგლების დატოვებას, ამ შემთხვევაშიც პრევენციული ზომები მხოლოდ ადამიანის უფლებათა მოთხოვნებთან შესაბამისობით უნდა გატარდეს.

რა უნდა გააკეთონ ეროვნული სასამართლოს მოსამართლეებმა, რომ თავიდან აირიდონ უფლების დარღვევა:

იმისათვის, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საქმის განხილვისას თავიდან აირიდონ კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, უნდა გაითვალისწინონ შემდეგი გარემოებები:

1. სანქციის გამოყენებისას, მოსამართლემ უნდა განსაზღვროს, გამოყენებული სანქცია რამდენად პროპორციულია ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან;
2. მოსამართლემ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოიყენოს მკაცრი სანქცია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების კონტექსტში ჩადენილ გადაცდომას;
3. პატიმრობის გამოყენება, რომელიც ყველაზე მკაცრი სანქციაა, არ შეიძლება გამართლებული იყოს არაძალადობრივი ფორმით გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში ჩადენილი გადაცდომისათვის.

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით

4.1. საპროცესო ხარჯები

ხშირად ისმის კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის შემთხვევაში შეუძლია თუ არა დაინტერესებულ პირს მოითხოვოს საქმისწარმოების შედეგად გაწეული ხარჯების (მაგ. ადვოკატის ჰონორარი) ანაზღაურება.

თუმცა არც კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და არც სხვა რომელიმე ნორმა არ ითვალისწინებს „დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის“ უფლებას, რომ საქმის შეწყვეტის შემთხვევაში ავტომატურად მოხდეს მისი ხარჯების ანაზღაურება.

ამიტომ, საქმის შეწყვეტის შემთხვევაშიც კი ხარჯების (განსაკუთრებით ადვოკატის მომსახურების) არანაზღაურება არ არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას⁵⁷ და არც შეიძლება ჩაითვალოს სანქციის ტოლფას ღონისძიებად.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი არ ავალდებულებს ხელშემკვრელ ქვეყნებს, ანაზღაურება გაუწიონ ნებისმიერ ბრალდებულს მის მიმართ წარმოებული სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული საქმის შეწყვეტის შემთხვევაში⁵⁸.

4.2. ჩხრეკა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, როგორც წესი, დაბალი საზოგადოებრივი საფრთხის ხარისხი ახასიათებს. ამდენად, ჩხრეკის ან

57 საქმე Minelli, EGMR, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 25.3.1983 Série A Nr. 62, S. 17, Ziff. 34-35.

58 საქმე Lutz vs. Germany, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 25.8.1987, Série A / Series A Nr. 123.

მტკიცებულებების ამოღების ღონისძიებების გატარება ჩვეულებრივ მიიჩნევა არათანაზომიერ ჩარევად.

განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩხრეკა კერძო საცხოვრებელ სივრცეს შეეხება, ასეთი ჩარევა არ შეესაბამება პროპორციულობის პრინციპს და, შესაბამისად, ვერ გამართლდება მცირე სამართალდარღვევაზე მითითებით⁵⁹.

4.3. სახის ამოცნობა

ერთ-ერთი უახლესი გადაწყვეტილებით⁶⁰, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახის ამოცნობის ტექნოლოგიის გამოყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დადგენის მიზნით არღვევს როგორც პირად ცხოვრებაზე პატივისცემის უფლებას (მუხლი 8), ისე გამოხატვის თავისუფლებას (მუხლი 10).

სასამართლოს შეფასებით, პირადი მონაცემების გამოყენება მშვიდობიან პროტესტთან დაკავშირებით წარმოადგენს განსაკუთრებულად ინტენსიურ ჩარევას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ ღირებულებებთან.

ასეთ შემთხვევებში სასამართლო მიუთითებს მკაფიოდ განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლების აუცილებლობაზე და მყარი საპროცესო გარანტიების უზრუნველყოფაზე.

სასამართლო დასძენს, რომ სახის ამოცნობის ტექნოლოგიის გამოყენება შესაძლოა გამართლებული იყოს დანაშაულის პრევენციის მიზნით, თუმცა შემთხვევებში დასაბუთების სტანდარტი განსაკუთრებით მაღალი და მკაცრია.

59 საქმე Buck vs. Germany, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 28. April 2005 – Nr. 41604/98.

60 საქმე Glukhin vs. Russia, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 4.7.2023, Nr. 11519/20.

სასამართლომ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება „ბრალად-დებული“ მოქმედების ფორმასა და დარღვევის სიმძიმეს – და როცა საქმე ეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, როგორც ეს კონკრეტულ შემთხვევაში იყო სახეზე, სასამართლომ დაადგინა, რომ სახის ამოცნობის ტექნოლოგიის გამოყენება არღვევს კონვენციის მე-8 (პირადი ცხოვრების დაცვა) და მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) მუხლებს.